ხელშეკრულება N271

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ხაშური **31 დეკემბერი 2020 წელი**

ერთის მხრივ **ხაშურის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის **ზვიად ქურდაძის სახით** და მეორეს მხრივ, შპს "მაგთიკომი" (შემდგომში - "ოპერატორი") - ავტორიზებული იურიდიული პირი, ს/კ 204876606, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N7, 0186, ოფიციალური ინტერნეტ გვერდის მისამართი: www.magticom.ge (შემდგომში - ოპერატორის ვებ-გვერდი), 24-საათიანი ცხელი ხაზის ნომერი: +995 32 217 00 00 ან 11 00 11 (შემდგომში - ცხელი ხაზი), წარმოდგენილი მთავარი კომერციული ოფიცრის მოადგილის ნუგზარ ქავთარაძის მიერ, რომელიც მოქმედებს 2020 წლის 24 თებერვლის მინდობილობის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N 200197281, ინდ. N85846628754120) საფუძველზე ვხელმძღვანელობთ რა ვხელმძღვანელობთ რა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 11 დეკემბრის N1966 ბრძანებით, **SMP200005243** და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით დაბა სურამში სოფელ ბიჯნისის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინტერნეტის ქსელის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით მოწყობის შესყიდვა დანართი N1-ის მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV კოდი: 32400000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება **6 242 (ექვსიათას ორასორმოცდაორი) ლარით.**

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღე.**

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველის მხრიდან 6.2. პუნქტით განსაზღვრული პირის/ების და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლ/ებ/ის ხელმოწერით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირებს წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **გიორგი პაპიაშვილი;**

6.3 მომსახურების გაწევის პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის საგადასახადო ანგარიშფაქტურა/სასაქონლო ზედნადები//საგადასახადო დოკუმენტი;

6.4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში შემსყიდველი მხარის წარმომადგენლები ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **2020 წლის 31 დეკემბრის N271** ხელშეკრულებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში,
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების/საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე.
ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
გ) შემსყიდველს გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ეტაპობრივად წარმოშობილი მოთხოვნილების შესაბამისად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ს „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.6. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულელობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა განუხორციელებელი მომსახურების ღირებულების 10%-ის ოდენობით;
9.7. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ შეფერხების ფაქტის წარმოშობისას დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება არ განიხილება. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **სერგო ლალიაშვილი;**

14.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის ან/და პირების დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.
14.4. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული ქონების ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5.ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022; საიდენტიფიკაციო კოდი: N243908848.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი _____ Khashuri Municipality Digitally signed by Khashuri Municipality Date: 2020.12.31 11:53:55 +04'00' _____ ზვიად ქურდაძე

მიმწოდებელი:

შპს „მაგთიკომი"
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N7
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია; ცენტრალური ფილიალი; UGEBGE22
ანგარიშის N: GE73VT6600000000423607, საიდენტიფიკაციო კოდი: N204876606

შპს „მაგთიკომი"-ს მთავარი
კომერციული ოფიცრის მოადგილე _____ნუგზარ ქავთარაძე

ხელშეკრულება N271-ის დანართი N1

უნიკალური ნომერი შეკვეთილი მომსახურება	მისამართი ან/და ტელეფონის ნომერი	ინსტალაციის ვადა/თარიღი	ინსტალაციის ერთჯერადი ღირებულება (GEL)
FTTH_ 828422	დაბა სურამი, სოფელი ბიჯნისი	90 დღე	6 242.00

1. ცხრილში მოცემული ზოგიერთი პირობის განმარტება:

1.1. დღეებით გამოხატული ინსტალაციის ვადა წარმოადგენს სამუშაო დღეების (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა) რაოდენობას, რომელიც აითვლება წინამდებარე **შეკვეთის ფორმის** გაფორმების მეორე დღიდან; **ოპერატორი** უფლებამოსილია, განახორციელოს ინსტალაცია ინსტალაციის თარიღის დადგომამდე ნებისმიერ დროს.

1.2. ცხრილში აღნიშნული ყველა თანხა მოიცავს დღგ-ს.

2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, **ოპერატორის** შემდეგი საბანკო რეკვიზიტების მეშვეობით:
მიმღები: შპს „მაგთიკომი", ს/კ 204876606
მომსახურე ბანკი: სს ვითიბი ბანკი ჯორჯია;
ბანკის კოდი: ცენტრალური ფილიალი; UGEBGE22
ანგარიშის N: GE73VT6600000000423607

3. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული შეტყობინებები იგზავნება მხარეთა შემდეგი საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად:

აბონენტის საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირი	**გიორგი პაპიაშვილი**	
საკონტაქტო ინფორმაცია:	E-mail:	info@khashuri.gov.ge
	Mob.:	595 491 172
	Tel.:	0368 24 18 37
	მისამართი:	ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2

თუ იცვლება **აბონენტის** საკონტაქტო ინფორმაცია, **მხარე** ვალდებულია მეორე **მხარეს** აცნობოს ცვლილების შესახებ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ცვლილებამდე 3 სამუშაო დღით ადრე.

4. **მომსახურების** მიწოდებისათვის საჭირო ინსტალაციის და **აპარატურის** გადაცემა წარმოებს **მხარეთა** შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტის გაფორმებით. მიღება-ჩაბარების დოკუმენტი განსაზღვრავს **მომსახურების აპარატურის აბონენტისათვის** გადაცემის ფორმას და პირობებს, მათ შორის, ადასტურებს შეკვეთილი **მომსახურების** ინსტალაციის ფაქტს. იმ შემთხვევაში, თუ ინსტალაციიდან 10 დღის ვადაში **აბონენტი** ხელს არ მოაწერს მიღება-ჩაბარების აქტს, **ოპერატორი** უფლებამოსილია შეუზღუდოს **აბონენტს** მომსახურების მიწოდება.

5. ამ **შეკვეთის ფორმაში** ნახსენებ ტერმინებს აქვთ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მნიშვნელობა.

მხარეთა ხელმოწერები:

ოპერატორი **აბონენტი**

/_____/ /_____/

Digitally signed by MagtiCom LLC
2020.12.31 12:46:15 +0400